მწერლის გვერდი

შორენა შენგელია

გასულ წელს საბერძნეთში „სამი ზღვის აუზის“ მწერალთა და მთარგმნელთა როდოსის სემინარზე ვიყავი მიწვეული. ახლა იმ დაუვიწყარი დღეების გასახსენებლად არ ამიღია კალამი. თუ რამ მართლაც დაუვიწყარი იყო და დღემდე გულს მითბობს, ეს ათენში ქართველებთან შეხვედრაზე ითქმის.

შორენა შენგელია ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ერთხელ ნახავ და ქართული ზღაპარი გაგახსენდება, დედინაცვალი ობოლს კვერს რომ მისცემს. „გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენც დაპურდი და შინაც მთელი მოიტანეო. ბავშობის ზღაპარს ახლა ვუპოვე ახსნა. დედინაცვალი ცხოვრებაა, ჯადოსნური კვერი კი სიკეთე, აი, სწორედ შორენასნაირ ქალბატონებს შეუძლიათ დღენიადაგ ზღაპრის გმირივით სიკეთით ცხოვრება, მერე რა თუ თვით ცხოვრება მკაცრია და დაუნდობელი. აფხაზეთიდან დევნილმა, ათენში მეორედ იგრძნო ლტოლვილის ხვედრი, მაგრამ სულით ძლიერმა ქალბატონმა უცხო მიწაზეც მოახერხა „პატარა საქართველოს“ აღორძინება.

“კარგი ცხოვრების საძებნელად არ წამოვსულვარ საბერძნეთში. არა, უბრალოდ, მე იმ ადამიანთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც მხოლოდ საზოგადოებით ცხოვრობენ, მისი სიყვარულით არსებობენ, აქაურმა ცხოვრებამ უფრო მკვეთრად დამანახა ის საშინელება, სიდუხჭირე, ტყუილი, უსამართლობა და უპასუხისმგებლობა ერის წინაშე, რომელიც ქართველი კაცის ხვედრია წლების განმავლობაში, წერდა ერთ-ერთ თავის წერილში შორენა შენგელია.

ცხოვრობს, დღენიადაგ მუშაობს, ყველას თანამდგომია და ყველას ლხინისა და ჭირის მოზიარე, მერე კი, ღამღამობით, როცა სამშობლოზე ფიქრი გაუსაძლისი ხდება, ფიქრს ლექსად აქცევს.

მაყვალა გონაშვილი
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

* * *

გაზაფხულდა... სევდა მაწევს,
რადგან სულში ზამთარია,
მე გაზაფხულს იქ ვეტრფოდი,
აქ-კი ცრემლს ვღვრი რახანია.
სული წუხს და გული ტირის,
თუმც აპრილი დამდგარია,
გარეთ ყველა ხარობს, მღერის...
ჩემი გული ჩამკვდარია.
იქ, ჩემს კერას, უცხო რჯულის,
უცხო რწმენის დაეუფლა,
გამიშალა მე ჭირის და...
თავისთვის კი ლხინის სუფრა.

P.S. თურმე სახლი, ჩვენი სახლი გველოდება,
ტირის ჩემი ფუძის ჭერი, ეზო-ყურე...
მე თუ ვცოცხლობ – დაბრუნების მოლოდინით,
ღვთისმშობელო, გევედრები, დამაბრუნე!

23.04.97.
ათენი

კოდორის ხეობას!

საუკუნეთ ცვლამ დაგამშვენა, გაგალამაზა,
ვერ მოგერია ვერაფერი, იყავ უდრეკი
და მხოლოდ მაშინ, როცა შენს შვილს
ძლიერ უჭირდა,
გახსენი გული, გზა მიეცი გადასარჩენი.
სიცოცხლის წყურვილს შენ აძლევდი
მაშინ დასაბამს,
უღელტეხილზე გამდინარე ცხოვრების წყაროს,
უბედურ ლტოლვილს ექეც მაშინ თავშესაფარად,
ტანჯვა-წამების, მაგრამ იმედის გზაზედ მომავალს.
რამდენი ცოდვა დატრიალდა შენს მკაცრ კალთებზე
რა ბევრი ცუდის გაკეთება შეძლებიათ ადამიანებს,
ვისაც შენ ასე უერთგულე, გზა გაუკვლიე,
ვერ დაინახეს ის სიკეთე და სილამაზე რაც შენ გაიღე.
ცოდვების ტრიალს ვერ გაუძელ ალბათ შენ მაშინ,
და ამიტომაც აბობოქრდი, ძლიერ განრისხდი,
იმ რისხვას კი, ბევრი კარგიც, ემსხვერპლა მაშინ.
შენ ბევრმა დედის სული განდო, მანდ
სათვალყუროდ,
და ბევრმაც შვილი მოგაბარა ჩასახუტებლად...
ოჰ, გზავ ტანჯვისა...
სიცოცხლის ხსნისა...
გამოცდის გზისა...
გზაო მძიმევ, იმ შავი დღისა...

28 აპრილი 1997 წელი
ათენი

საოცნებო სიზმარი

ვარსკვლავთცვენაა საქართველოში,
მათ ბრწყინვალებას რა დალევს ჩვენში,
სალი გონება, სალი აზრი გამოანათებს,
რომ სწორ ქმედებას მისცეს სათავე!
და ეს სათავე შენთვის იქნება,
იმ საუკუნის დიდი საწყისი.
საწყისი, რომლის ღირსიც შენა ხარ,
რომ გაიბრწყინოს შენმა წარსულმა.
და ალმართს შემდგარს, მომავალს შენსას
დაეხმარება ღვთისმშობლის მადლიც.
ის, არ გასწირავს მის წილხვედრ მიწას,
არ მისცემს ეშმაკს დასამონებლად;
შემდგომ კი როგორც უნაზეს პირმშოს
გვიხილავს ჩვენ ის აღორძინებულს.